ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-17

2010 წლის 19 მარტი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 იანვრის №-1 განკარგულებით დამტკიცებულ 2010 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა-განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 იანვრის №-1 განკარგულებით დამტკიცებულ 2010 წლის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა-განრიგში შევიდეს ცვლილებები თანახმად დანართისა.

2. უფლება მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დამტკიცებული თანდართული ნუსხის შესაბამისად მოახდინოს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს (ნ.მეგრელიძე).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს.ტაკიძე